**ხელშეკრულება №01/22²-18**
**60-7-222-166**
**სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჯარო რეესტრის ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემების სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" მიწოდების შესახებ**

**ქ. თბილისი** **25 მარტი 2022 წელი**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი ***სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო*** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202238621; შემდგომში – სააგენტო), წარმოდგენილი პროექტების მართვისა და გაყიდვების სამსხურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მარიამ ტურაშვილის მიერ მიერ, ***სსიპ ,,ციფრული მმართველობის სააგენტო"*** (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204598337; შემდგომში – (ციფრული მმართველობის სააგენტო), წარმოდგენილი თავმჯდომარის დავით ნადირაშვილის მიერ და **სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"** (საიდენტიფიკაციო ნომერი: **204995176**; შემდგომში - კომპანია), წარმოდგენილი მისი დირექტორის შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში - დირექტორთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის (მინდობილობა #210506896) მიერ, შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც მხარეები, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგი პირობებით:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. ხელშეკრულების საგანია, სააგენტოს ერთიანი მონაცემთა ბაზიდან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებზე ინფორმაციის მიწოდება კომპანიისთვის, ციფრული მმართველობის სააგენტოს მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის (შემდგომში - ,,მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა") მეშვეობით, ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ფარგლებში (შემდგომში ,,მომსახურება") **(CPV 75100000).**

1.2. ამ მუხლის 1.1. პუნქტში მითითებული ინფორმაციის მიწოდების პროცესი და მისი მახასიათებლები აღწერილია ხელშეკრულების დანართში №1.

1.3 **წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადაა 2022 წლის 01 აპრილიდან 2022 წლის 30 ივნისის ჩათვლით.**

**მუხლი 2. კავშირის უზრუნველყოფა და ინფორმაციის მიწოდების წესი**

2.1. კომპანიას ინფორმაცია მიეწოდება მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით.

2.2. დახურული კერძო ქსელის აგებისას, შიფრაციის პროტოკოლის შეთანხმება ხდება მხარეების მიერ შეთანხმებით განსაზღვრულ ტექნიკურ ჯგუფებთან.

2.3. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით კომპანიის მიერ ინფორმაციის გამოთხოვა და სააგენტოს მიერ ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება №1 დანართის შესაბამისად.

2.4. ვებ სერვისზე წვდომის გამართვის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვებით ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის გამოთხოვისა და გამოთხოვილი ინფორმაციის მისთვის მიწოდებისათვის მზაობის თაობაზე, ასეთის საჭიროების არსებობისას, ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს შორის ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

2.5. კომპანია ვალდებულია საჯარო რეესტრის ერთიან მონაცემთა ბაზიდან მიღებულ ინფორმაციაზე წვდომისა და ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნით, ინფორმაციის

გამოყენების უფლებამოსილება მიანიჭოს კომპანიის თანამშრომლებს. კომპანიის მხრიდან არაავტორიზებულ ან არასანქცირებულ წვდომაზე, ასევე, ასეთი წვდომის შედეგებზე პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიას კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

2.6. ხელშეკრულების 2.4 პუნქტით განსაზღვრულ მიღება-ჩაბარების აქტში ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების მზაობის შესახებ მითითებულ თარიღამდე, ორგანიზაცია უფლებამოსილია, ხელშეკრულების 6.5 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით, სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან გამოითხოვოს არა უმეტეს ხუთი უნიკალური კოდის (პირადი ნომერი, საიდენტიფიკაციო კოდი, საკადასტრო კოდი) მონაცემები. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აღნიშნულ ხუთ უნიკალურ კოდზე ორგანიზაციის მიერ სააგენტოში გამოგზავნილი მოთხოვნების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50-ს.

2.7. ხელშეკრულების 2.4 პუნქტით განსაზღვრულ ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების მზაობის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, ასეთის საჭიროების არსებობისას, სამსახურის მიერ 2.6. პუნქტის შესაბამისად სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მონაცემების უფასოდ გამოთხოვის უფლებით სარგებლობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს.

**მუხლი 3. ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების აღრიცხვა**

3.1. მხარეები ვალდებული არიან აწარმოონ ინფორმაციის გამოთხოვისა და მიწოდების ელექტრონული აღრიცხვა.

3.2. სააგენტოსა და კომპანიის ინფორმირების მიზნით, ციფრული მმართველობის სააგენტო აღრიცხავს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით ინფორმაციის გამოთხოვის საერთო რაოდენობას, ასევე, თითოეული მოთხოვნის შემოსვლის და გაგზავნის დროს.

3.3. ციფრული მმართველობის სააგენტო, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით, ყოველ წარმატებულად განხორციელებულ გზავნილს (გზავნილი, რომელიც უშეცდომოდ დამუშავდა სააგენტოსა და ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ) ანიჭებს უნიკალურ იდენტიფიკატორს, რომლის მეშვეობითაც ხდება თითოეული მოთხოვნა-პასუხის იდენტიფიკაცია.

3.4. ელექტრონული შეტყობინება გაგზავნილად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც იგი გადის გამგზავნის კონტროლის არედან. კონტროლის არედან გასვლაში იგულისხმება ელექტრონული შეტყობინების უკან დაბრუნების, მასში ცვლილების შეტანის ან გაუქმების შეუძლებლობა.

3.5. კომპანიის მიერ სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან ინფორმაცია გამოთხოვილად ითვლება, თუ სააგენტოს მიერ აღრიცხულ იქნა კომპანიისთვის ინფორმაციის გაგზავნა ან/და კომპანიის მიერ აღრიცხულ იქნა ინფორმაციის მიღება.

3.6. ელექტრონული შეტყობინების გაგზავნისას/მიღებისას უნდა დარჩეს ამ შეტყობინების გაგზავნის/მიღების დასაბუთება (დასტური), რომელიც შეიძლება არსებობდეს ელექტრონული შეტყობინების ან ქაღალდის დოკუმენტის სახით.

3.7. ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის/მიღების წესი და პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების N1 დანართით.

3.8 სააგენტოსა და ციფრული მმართველობის სააგენტოსათვის ინფორმაციის მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირად კომპანიის მხრიდან ითვლება **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" მონიტორინგისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების ანალიზის სამსახურის უფროსი ლუიზა ეზუგბაია.** კომპანია ვალდებულია უფლებამოსილი პირის ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს.

3.9. ციფრული მმართველობის სააგენტო უზრუნველყოფს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციების ყოველთვიური ანგარიშის სააგენტოსა და კომპანიისთვის მიწოდებას მათთან შეთანხმებული ფორმითა და პირობებით.
3.10. ციფრული მმართველობის სააგენტო ვალდებულია სააგენტოს ან/და კომპანიის ელექტრონული ან/და წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მათ ამ მუხლის 3.2. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის მონაცემები მოთხოვნის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით.

**მუხლი 4. ელექტრონული შეტყობინების იურიდიული ძალა**
მხარეები ადასტურებენ, რომ მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის საშუალებებით მიღებულ ელექტრონულ შეტყობინებებს (კერძოდ, სუბიექტის სამართლებრივი ფორმის და რეგისტრაციის შესახებ ელექტრონულ შეტყობინებებს) აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ, პირადი ხელმოწერით, ხოლო ბეჭდის არსებობის შემთხვევაში, ასევე ბეჭდით დამოწმებულ დოკუმენტს.

**მუხლი 5. მხარეთა ზოგადი სახელშეკრულებო ვალდებულებები**

**მხარეები ვალდებულნი არიან:**
5.1. ხელშეკრულების პირობები შეასრულონ კეთილსინდისიერად და ჯეროვნად, მხარეთა თანამშრომლობისა და გულისხმიერების პრინციპებზე დაყრდნობით;
5.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ითანამშრომლონ ერთმანეთთან კონსულტაციისა და ურთიერთდახმარების სხვა მეთოდებით.

**მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

**6.1. სააგენტო ვალდებულია:**
ა) კომპანიის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვისთანავე, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, უზრუნველყოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიწოდება ციფრული მმართველობის სააგენტოსათვის ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და №1 დანართის შესაბამისად. ციფრული მმართველობის სააგენტო, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის გადაგზავნას კომპანიისთვის;
ბ) უზრუნველყოს კომპანიისთვის მიწოდებულ და მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში დაცულ ინფორმაციას შორის სისწორე და ურთიერთშესაბამისობა;
გ) განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
დ) არ დაუშვას ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით კომპანიისგან მიღებული ინფორმაციის გადაცემა ან სხვაგვარი ხელმისაწვდომობა მესამე პირებისათვის (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ისე მისი დასრულების შემდგომ;
ე) ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში და წესით გამოსცეს კომპანიის აუთენტიფიკაციისათვის საჭირო ელექტრონული სერტიფიკატი ან მოამზადოს მომხმარებლის

სახელი და პაროლი, რომელიც ამ ხელშეკრულების 2.2. პუნქტის შესაბამისად, შეთანხმებული იქნება მხარეების ტექნიკურ ჯგუფებთან;
ვ) საკუთარი ინფრასტრუქტურის წვდომაზე წინასწარ ცნობილი შეფერხების თაობაზე აცნობოს ციფრული მმართველობის სააგენტოს და კომპანიას, შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;
ზ) საკუთარი ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილების თაობაზე აცნობოს ციფრული მმართველობის სააგენტოს, ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;
თ) სისტემაში ტექნიკური დაზიანებების წარმოშობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს (წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით) კომპანიას აღნიშნულის თაობაზე და მაქსიმალურად მოკლე დროში აღმოფხვრას დაზიანება.

**6.2. სააგენტო უფლებამოსილია:**
ა) განახორციელოს ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით კომპანიისთვის ინფორმაციის მიწოდების მონიტორინგი და შეამოწმოს აღრიცხვიანობა;
ბ) კომპანიას მოსთხოვოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგისთვის აუცილებელი ინფორმაციის წარმოდგენა;
გ) ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით და მის ფარგლებში შემოიღოს მონიტორინგის დამატებითი ფორმები;
დ) მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით ინფორმაციის მიწოდებისთვის დადგენილი საფასურის გადახდა;

**6.3. ციფრული მმართველობის სააგენტო ვალდებულია:**
ა) სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ინფორმაციის გამოთხოვის სუბიექტზე/ობიექტზე არსებული ინფორმაციის კომპანიისთვის მიწოდების მიზნით უზრუნველყოს მხარეთა მიერ მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურით სარგებლობა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში;
ბ) განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში;
გ) უზრუნველყოს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მდგრადი და გამართული ფუნქციონირება, მისი უსაფრთხოება და მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის გამოყენებისთვის აუცილებელი ინფორმაციული მხარდაჭერა;
დ) უზრუნველყოს კომპანიის მოთხოვნის სააგენტოსთვის დაუყოვნებლივ მიწოდება და კომპანიისთვის მის მოთხოვნაზე სააგენტოს პასუხის დროული მიწოდება;
ე) მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხებების თაობაზე აცნობოს სააგენტოს და კომპანიას, შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;
ვ) მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილებების თაობაზე აცნობოს სააგენტოს, ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე და უზრუნველყოს ტექნიკური სამუშაოების ჩატარება სააგენტოსთან შეთანხმებული გრაფიკით;
ზ) მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის ტექნიკური დაზიანებების წარმოშობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს (წერილობით, ელექტრონული ფოსტით) კომპანიას აღნიშნულის თაობაზე და მაქსიმალურად მოკლე დროში აღმოფხვრას დაზიანება;

თ) არ დაუშვას სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა) ან/და ბაზიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება/სისტემატიზაცია მესამე პირებისთვის გადაცემის მიზნით (როგორც ხელშეკრულების მოქმედების, ისე, მისი ვადის გასვლის შემდგომ), გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა;
ი) უზრუნველყოს მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მიერ მიღებული და გაგზავნილი ინფორმაციის კონფიდენციალობა და უსაფრთხოება;
კ) ციფრული მმართველობის სააგენტო ვალდებულია სააგენტოს ან/და კომპანიის ელექტრონული ან/და წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს მათ ამ მუხლის 3.2. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის მონაცემები მოთხოვნის მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, მოთხოვნის შესაბამისი ფორმით.

**6.4. ციფრული მმართველობის სააგენტო უფლებამოსილია:**
ა) კომპანიის მიერ მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით მოთხოვნილი ინფორმაცია მიიღოს და გასცეს წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნათა შესაბამისად;
ბ) სააგენტოსგან მიიღოს ინფორმაცია სააგენტოს ინფრასტრუქტურაზე წვდომის წინასწარ ცნობილი შეფერხების თაობაზე, შეფერხებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე;
გ) სააგენტოსგან მიიღოს ინფორმაცია სააგენტოს ინფრასტრუქტურის ტექნიკური ცვლილების შესახებ, ცვლილებამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე.

**6.5. კომპანია ვალდებულია:**
ა) განახორციელოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები;
ბ) არ გაასხვისოს სააგენტოსგან მიღებული ინფორმაცია მესამე პირზე პირდაპირი ან ნებისმიერი სხვა (სახეშეცვლილი/სისტემატიზებული ან სხვაგვარად ხელმისაწვდომი ა.შ.) ფორმით. ასევე, არ დაუშვას სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული ვალდებულება სამსახურს ეკისრება როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ.
გ) უზრუნველყოს სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით ინფორმაციის გამოთხოვა მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ კანონიერი მიზნის მისაღწევად.
დ) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი შემთხვევითი თუ არასანქცირებული დარღვევის, შემთხვევითი დაკარგვის, ასევე, მათთან არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებელი გზით.
ე) არ მოახდინოს სააგენტოს მონაცემთა ბაზიდან (მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის მეშვეობით) მიღებული ინფორმაციის დუბლირებული მონაცემთა ბაზის შექმნა.
ვ) დაიცვას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, იურიდიული პირის უფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების პრინციპები;
ზ) არ გამოითხოვოს ინფორმაცია იმ ამოცანის მისაღწევად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით;

თ) უზრუნველყოს მიღებული მონაცემების დაცვა იმ ფორმით, რომელიც იძლევა მონაცემთა სუბიექტის/ობიექტის იდენტიფიკაციის საშუალებას მხოლოდ იმ დროში, რაც საჭიროა იმ კანონიერი მიზნებისათვის, რისთვისაც ინახება ეს მონაცემები;
ი) გადაიხადოს ხელშეკრულებით ინფორმაციის მიწოდებისთვის დადგენილი საფასური.

**6.6. კომპანია უფლებამოსილია:**
ა) ციფრული მმართველობის სააგენტოს მოსთხოვოს ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის მონაცემების წარმოდგენა მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მოთხოვნის შესაბამისი ფორმით;
ბ) მონაცემთა სუბიექტის/ობიექტის შესახებ გადამოწმებულ მონაცემებში აღმოჩენილი ურთიერთშეუსაბამობის ან ამგვარი სუბიექტის/ობიექტის იდენტიფიცირების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუკავშირდეს სააგენტოს უფლებამოსილ პირს და მიიღოს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გამოსათხოვი ინფორმაციის სუბიექტის/ობიექტის იდენტიფიკაციისთვის საჭირო ინფორმაცია ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ფარგლებში;
გ) სააგენტოს მოსთხოვოს ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის აღრიცხვის მონაცემების წარმოდგენა მოთხოვნიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში მოთხოვნის შესაბამისი ფორმით;

**მუხლი 7. მხარეთა კომუნიკაციის პირობები**
7.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან მარიამ ტურაშვილი – პროექტების მართვისა და გაყიდვების სამსხურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (ტელ.: 551 12 07 06; ელ. ფოსტა mturashvili@napr.gov.ge); ციფრული მმართელობის სააგენტოს მხრიდან – ირაკლი მაისაია - მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის მენეჯერი (ტელ.: 591 440644; ელ. ფოსტა: imaisaia@dga.gov.ge); კომპანიის მხრიდან - **სს „სსე“-ს მონიტორინგისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების ანალიზის სამსახურის უფროსი ლუიზა ეზუგბაია (ტელ:+995 32 2 510 475 ელ. ფოსტა: luiza.ezugbaia@gse.com.ge).**
7.2 გაწეული მომსახურებისა და ანგარიშსწორების შესახებ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები არიან: სააგენტოს მხრიდან – საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი ხათუნა გოგოხია (ტელ.: 2 25 15 27; ელ. ფოსტა: kgogokhia@napr.gov.ge); ციფრული მმართელობის სააგენტოს მხრიდან – ირაკლი მაისაია - მონაცემთა გაცვლის ერთიანი სისტემის მენეჯერი (ტელ.: 591 440644; ელ. ფოსტა: imaisaia@dga.gov.ge); კომპანიის მხრიდან - **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შესაბამისი დირექტორთა საბჭოს წევრი ან/და შესაბამისი დეპარტამენტის უფროსი (ტელ.: 2 510 101)**.
7.3 მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ ხელშეკრულებაში მითითებული ელ. ფოსტის, სატელეფონო ან/და წერილობითი შეტყობინებების გამოყენებით.

**მუხლი 8. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**
8.1 წინამდებარე ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება შეადგენს **200 (ორასი) ლარს დღგ-ს გარეშე,** (შემდგომში ხელშეკრულების ღირებულება).

8.2 სააგენტოსა და ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ კომპანიისთვის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ინფორმაციის მიწოდება ხდება საფასურის სანაცვლოდ, რომლის ოდენობა გამოითვლება ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით;
8.3 კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ მის მიერ შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიღებული ტრანზაქციების სანაცვლოდ გადაუხადოს:
ა) ციფრული მმართველობის სააგენტოს:
1. 30,000 ტრანზაქციამდე - თითოეულ ტრანზაქციაზე 2 თეთრი;
2, 30,000-დან 100,000 ტრანზაქციამდე- თითოეულ ტრანზაქციაზე 1,5 თეთრი;
3. 100,000-დან 500,000 ტრანზაქციამდე- თითოეულ ტრანზაქციაზე 1 თეთრი;
4. 500,000-დან 1,000,000 ტრანზაქციამდე- თითოეულ ტრანზაქციაზე 0,7 თეთრი;
5. 1,000,000 ტრანზაქციაზე მეტი - თითოეულ ტრანზაქციაზე 0,5 თეთრი;
ბ) სააგენტოს:
1. 30,000 ტრანზაქციამდე - თითოეულ ტრანზაქციაზე 18 თეთრი;
2. 30,000-დან 100,000 ტრანზაქციამდე - თითოეულ ტრანზაქციაზე 17 თეთრი;
3. 100,000-დან 500,000 ტრანზაქციამდე - თითოეულ ტრანზაქციაზე 16 თეთრი;
4. 500,000-დან 1,000,000 ტრანზაქციამდე - თითოეულ ტრანზაქციაზე 14 თეთრი;
5. 1,000,000 ტრანზაქციაზე მეტი - თითოეულ ტრანზაქციაზე 12 თეთრი;
6. ელექტრონული დასტური ,,მონაცემი არ მოიძებნა“ – თითოეულ ტრანზაქციაზე – 2 თეთრი;
7. ელექტრონული დასტური „შეცდომა მონაცემთა ბაზის მხრიდან“ – თითოეულ ტრანზაქციაზე – 0 თეთრი.
8. ტრანზაქციების საერთო რაოდენობის დათვლაში მონაწილეობს ყველა სახის ტრანზაქცია.
8.4 ანგარიშსწორების საფუძველია მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც ფორმდება წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს შორის, ყოველი თვის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. მომსახურების საფასურის გადახდა განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში.
8.5 თუ კომპანია სადავოდ ხდის აღრიცხული მომსახურების რაოდენობის ან/და გადასახდელი თანხის ნაწილს, იგი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაიხადოს იმ მომსახურების ღირებულება, რომელიც სადავო არ არის. დავის გადაწყვეტიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი, ხელშეკრულების 7.2 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს შორის, სადავო თანხის შეთანხმებულ ოდენობაზე, რომლის საფუძველზეც განხორციელდება გადახდა 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი**
9.1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო.
9.2. ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
9.3. მხარეები იხსნიან პასუხისმგებლობას ფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობის შედეგად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე.
9.4. სააგენტო არ არის პასუხისმგებელი მომსახურების მიღების იმგვარ შეფერხებაზე, რომელიც გამოწვეულია კომპანიის ტექნიკისა თუ ქსელის გაუმართაობის საფუძვლით.

**მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტის წესი და ცვლილებები ხელშეკრულებაში**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ამოქმედდება **2022 წლის 01 აპრილიდან და ძალაშია 2022 წლის 31 ივლისის ჩათვლით.**

10.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების დანარჩენ მხარეთათვის შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად.

10.3. ამ ხელშეკრულებით ინფორმაციის მიწოდებისთვის დადგენილი საფასურის გადაუხდელობის საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანია არ თავისუფლდება სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაციის დავალიანების სახით არსებული საფასურის სააგენტოსთვის გადახდის ვალდებულებისგან.

10.4. ამ მუხლით დადგენილი წესით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

10.5. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით. ხელშეკრულების მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

**მუხლი 11. ხელშეკრულების დამატებითი პირობები**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

11.2. ამ ხელშეკრულების დანართი №1, ასევე, მომავალში ხელშეკრულებით და კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად განსაზღვრული დანართები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

11.3 შესყიდვა განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის შესახებ მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

**მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი:**

12.1 ,,შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სს „სსე"-ს შესყიდვების ხელშეკრულებების მონიტორინგის სამსახურის უფროსი ლუიზა ეზუგბაია.

12.2 კონტროლი გულისხმობს ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურების შედარებას წინამდებარე ხელშეკრულებით დადაგენილ პირობებთან.

**მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები**

13.1 სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - მის: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის 22;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202238621
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი/სახაზინო კოდი: 707427519

13.2 სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“
ს/კ: 204598337
მისამართი: ქ. თბილისი, ვახტანგ გორგასლის 22;
ტელეფონი:240 58 18
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი 709797499

13.3 ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”
ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2; ტელ.: 995 32 2 510 475
სს „თი ბი სი ბანკი“
საიდ. კოდი: 204995176
ბანკის კოდი: TBCBGE 22
ანგარიშის № GE02TB0600000102467636

სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
პროექტების მართვისა და გაყიდვების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი
__________________________ /მარიამ ტურაშვილი/

სსიპ – ციფრული მმართველობის სააგენტო
თავმჯდომარე

Davit Nadirashvili
2022.03.25
18:20:59 +04'00'
__________________________ /დავით ნადირაშვილი/

სს “საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“
დირექტორი შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში - დირექტორთა საბჭოს წევრი

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2022.03.25 16:04:09 +04'00'
__________________________/დავით ვარდიაშვილი/

## *იურიდიული პირების ძებნის ვებ სერვისის აღწერა*

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების ძებნის ვებ–სერვისი.

სერვისი შედგება შემდეგი ფუნქციებისგან:

1. **GetSubjectInfo** – იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდით ან პირადი ნომრით (ინდ. მეწარმის შემთხვევაში) იძებნება პირის რეგისტრირებული მონაცემები.
2. **GetAddressInfo** – მისამართის კოდით მისი სტრუქტურის გაშიფვრა.
3. **GetLastOutput** – იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდით ან პირადი ნომრით (ინდ. მეწარმის შემთხვევაში) იძებნება პირის ბოლო ამონაწერი.

### *1. GetSubjectInfo:*

აბრუნებს ინფორმაციას სუბიექტის შესახებ

**შენიშვნა 1:** ფილიალის საიდენტიფიკაციო კოდზე ბრუნდება ამ ფილიალის ძირითადი სუბიექტის ამონაწერი.

**IN**:

- IdNumber - სუბიექტის საიდენტიფიკაციო კოდი ან პირადი ნომერი (ინდ. მეწარმის შემთხვევაში)
- AuthHeader - ავტორიზაციის ველი
  - UserName - მომხმარებლის სახელი
  - Password - მომხმარებლის პაროლი

**OUT:**

- ResponseStatusId – პასუხის სტატუსის კოდი(მოიძებნა, არ მოიძებნა, საიდენტიფიკაციო კოდი გაუქმებულია(ფილიალის შემთხვევა)) 0–არ მოიძებნა 1–მოიძებნა
- ResponseStatus – პასუხის სტატუსის ტექსტური აღწერა
- Request - ნომერი რომელზეც მოვიდა მოთხოვნა (IN პარამეტრი )
- RequstDateTime – შეტყობინების თარიღი და დრო
- ResponseID - პასუხის უნიკალური ნომერი
- Subject - სუბიექტი
  - IdNumber – სუბიექტის საიდენტიფიკაციო ნომერი

- PersonalNumber – პირადი ნომერი
- StateRegNumber – სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი
- Name – სუბიექტის დასახელება
- NameEng – სუბიექტის დასახელება ინგლისურად
- Address –იურიდიული მისამართი სიტყვიერად
- AddressRekv – იურიდიული მისამართის ქუჩის ან ბინის ნომერი
- AddressCode – იურიდიული მისამართი კოდიფიცირებული
- MailAddress – ფაქტობრივი მისამართი სიტყვიერად
- MailAddressRekv – ფაქტობრივი ქუჩის ან ბინის ნომერი
- MailAddressCode – ფაქტობრივი მისამართი კოდიფიცირებული
- Zip – საფოსტო ინდექსი
- RegistrationMunicipality – მარეგისტრირებელი ორგანო
- RegistrationMunicipalityID – მარეგისტრირებელი ორგანოს ID
- LegalFormId – სამართლებრივი ფორმის იდენტიფიკატორი (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 1)
- LegalForm – სამართლებრივი ფორმის დასახელება (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 1)
- GovRegDate – სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი
- LastChangeDate- ბოლო ცვლილების თარიღი, ჩვენი საიტზე ასახვის თარიღი
- Comments – კომენტარები
- TaxAuthority – საგადასახადო ორგანო (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 2)
- TaxAuthorityId - რიცხვითი იდენტიფიკატორი (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 2)
- TaxAuthorityCode - საგადასახადო ორგანოს 3 ნიშნა საგადასახადო კოდი (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 2)
- SystemCode - სუბიექტის სისტემური უნიკალური იდენტიფიკატორი
- IndEntrepreneurPerson - ეს სექცია ივსება ინდ მეწარმის შემთხვევაში და აქ იწერება შესაბამისი რეზიდენტ/არარეზიდენტ ფიზიკური პირის რეკვიზიტები
  - PersonId - პირის სისტემური უნიკალური იდენტიფიკატორი
  - EntityType – პირის სახეობა (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 3)

- EntityTypeId - პირის სახეობის იდენტიფიკატორი (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 3)
- PersonalNumber – პირადი ნომერი
- CardTypeID - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სახეობის იდენტიფიკატორი - ფიზიკური პირის შემთხვევაში (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 4)
- CardTypeName - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სახეობა/დასახელება - ფიზიკური პირის შემთხვევაში (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 4)
- CardNumber - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი - ფიზიკური პირის შემთხვევაში
- FirstName - სახელი
- FirstNameLat - სახელი ინგლისურად
- LastName - გვარი
- LastNameLat - გვარი ინგლისურად
- BirthDate - დაბადების თარიღი
- DeathDate - გარდაცვალების თარიღი
- Comments - კომენტარები
- Address - ჩაწერის მისამართი
- AddressLat - ჩაწერის მისამართი ინგლისურად
- Country - მოქალაქეობა
- CountryID - ზემოთ აღწერილი ქვეყნის ინდექსი
- RegistrationMunicipality – მარეგისტრირებელი ორგანო

- DirectorsAndRepresentorsList – დირექტორების სია
  - DirectorOrRepresentor
    - PersonId - პირის სისტემური უნიკალური იდენტიფიკატორი
    - EntityType – პირის სახეობა (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 3)
    - EntityTypeId - პირის სახეობის იდენტიფიკატორი(იხილეთ ცნობარი, ცხრილი 3)
    - PersonType – წარმომადგენელია თუ დირექტორია (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 5)
    - PersonTypeId - რიცხვითი იდენტიფიკატორი(წარმომადგენელია თუ დირექტორია) (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 5)

- RepresentRights - ერთობლივად/ ერთპიროვნულად/ წესდებით გათვალისწინებით (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 6)
- RepresentRightsId – ერთობლივად/ ერთპიროვნულად/ წესდებით გათვალისწინებით რიცხვითი იდენტიფიკატორი (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 6)
- PersonalNumber-პირადი ნომერი
- IdNumber - საიდენტიფიკაციო ნომერი
- CardTypeID - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სახეობის იდენტიფიკატორი - ფიზიკური პირის შემთხვევაში (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 4)
- CardTypeName - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სახეობა/დასახელება - ფიზიკური პირის შემთხვევაში (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 4)
- CardNumber - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი - ფიზიკური პირის შემთხვევაში
- FirstName - სახელი
- FirstNameLat - სახელი ინგლისურად
- LastName - გვარი
- LastNameLat - გვარი ინგლისურად
- BirthDate - დაბადების თარიღი
- DeathDate - გარდაცვალების თარიღი
- Name - დასახელება
- OrgNameLat- დასახელება (ინგლისურად)
- LegalForm - სამართლებრივი ფორმა
- Comments - კომენტარები
- Address - იურიდიული მისამართი
- AddressLat - იურიდიული მისამართი ინგლისურად
- MailAddress – ფაქტობრივი მისამართი სიტყვიერად
- FactualAddressLat - ფაქტობრივი მისამართი სიტყვიერად ინგლისურად
- Country - მოქალაქეობა (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 7)
- CountryID - ზემოთ აღწერილი ქვეყნის ინდექსი (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 7)
- RegistrationMunicipality – მარეგისტრირებელი ორგანო

- ProcuristList – პროკურისტების სია
  - Procurist
    - PersonId - პირის სისტემური უნიკალური იდენტიფიკატორი
    - EntityType – პირის სახეობა (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 3)
    - EntityTypeId - პირის სახეობის იდენტიფიკატორი (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 3)
    - IdNumber – საიდენტიფიკაციო კოდი
    - PersonalNumber - პირადი ნომერი
    - Name – დასახელება -ივსება იურიდიული პირის შემთხვევაში
    - OrgNameLat -დასახელება ინგლისურად-ივსება იურიდიული პირის შემთხვევაში
    - LegalForm - სამართლებრივი ფორმა
    - Address - იურიდიული მისამართი
    - AddressLat - იურიდიული მისამართი ინგლისურად
    - MailAddress – ფაქტობრივი მისამართი სიტყვიერად
    - FactualAddressLat - ფაქტობრივი მისამართი სიტყვიერად ინგლისურად
    - Country - მოქალაქეობა ან რეგისტრაციის ქვეყანა (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 7)
    - CountryID - ზემოთ აღწერილი ქვეყნის ინდექსი (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 7)
    - RegDate - იურიდიული პირის რეგისტრაციის თარიღი
    - Comments - კომენტარები
    - CardTypeID - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სახეობის იდენტიფიკატორი - ფიზიკური პირის შემთხვევაში (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 4)
    - CardTypeName - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის სახეობა/დასახელება - ფიზიკური პირის შემთხვევაში (იხილეთ ცნობარი, ცხრილი 4)
    - CardNumber - საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი - ფიზიკური პირის შემთხვევაში
    - FirstName - სახელი
    - FirstNameLat - სახელი ინგლისურად
    - LastName - გვარი

        - LastNameLat - გვარი ინგლისურად
        - BirthDate - დაბადების თარიღი
        - DeathDate - გარდაცვალების თარიღი
        - RegistrationMunicipality – მარეგისტრირებელი ორგანო
        - PersonType - უფლებამოსილების ტიპი
